ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 2

ქ. ახალქალაქი 5 იანვარი 2012 წ

შ.პ.ს. „მაგთიკომი" წარმოდგენილი შპს „მაგთიკომი"-ს ქ. ახალქალაქის რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების №17 ოფისის ხელმძღვანელის პაატა მღებრიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შპს „მაგთიკომი"-ს გენერალური დირექტორის 2012 წლის 3 იანვარს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, შემდგომში – *გამყიდველი*, ერთი მხრივ ახალქალაქის რ-ნის სოფ ორჯას საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის მინასიან ნვერ სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 *გამყიდველი* ყიდის, ხოლო *მყიდველი* ყიდულობს 300 ლარის ღირებულების მონო ბარათებს , შემდგომში – "ბარათები".

1.2 ბარათების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.1 გადაუხადოს *გამყიდველს* ბარათების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.1.2 თანხის გადარიცხვისას მიაწოდოს ინფორმაცია *გამყიდველს* ბარათების რაოდენობისა და მათი ნომინალური ღირებულების შესახებ.

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.1 ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, *მყიდველის* მოთხოვნისთანავე გადასცეს *მყიდველს* შეძენილი ბარათები და ანგარიშ-ფაქტურა.

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი გადახდის პირობით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელომოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ოთხ პირად, ორი პირი გადაეცემა გამყიდველს და ორი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:	მყიდველი:
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქუჩა #5 ს.ს. „თიბისი ბანკი" ცენტრალური ფილიალი ა/ა 899467899, კოდი TBCBGE22	ახალქალაქის რ-ნის სოფ ორჯას საჯარო სკოლა სოფ ორჯა ს/კ 223364614
სკ 204876606 ქ. ახალქალაქის აბონენტთა რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების № 17 ოფისის ზედამხედველი	
(პაატა მღებრიშვილი)	(მინასიან ნვერ)